ნდობის აღდგენა

დონორი: ევროკომისია

პარტნიორები: ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეა - სომხეთი, ქალთა პრობლემების კვლევითი გაერთიანება - აზერბაიჯანი

ბიუჯეტი: 152 000 ევრო

ხანგრძლივობა: თებერვალი 2014 - მაისი 2015

სფეროები: ქალთა გაძლიერება და ჩართულობა, სამოქალაქო საზოგადოება, კარგი მმართველობა, მშვიდობის მშენებლობა, საბაზრო კავშირები;

გეოგრაფიული არეალი: პირშაგის და რამანას თემები (აზერბაიჯანი), გორისის თემი (სომხეთი);

სამიზნე ჯგუფი: კონფლიქტის შედეგად დაზარალებულები, იძულებით გადაადგილებული პირები, ქალები, ახალგაზრდები (18-31)

მიზანი: სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის ორივე მხარეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაში სამშვიდობო ინიციატივების დასანერგად ნიადაგის მომზადება.

"ნდობის აღდგენა" მუშაობს ქალთა საინიციატივო ჯგუფებთან კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სამ თემში, რომელთაგან ერთი სომხეთშია და ორი აზერბაიჯანში. ეს ჯგუფები ქმნიან საგანმანათლებლო კლუბებს, სადაც თემის წევრების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ხდება მათი შესაძლებლობების გაძლიერება. გარდა ამისა, კლუბებს აქვთ უფრო ფართო საზოგადოებრივი დატვირთვა, აქ ხდება თემისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაც. დამატებით, საგანმანათლებლო კლუბები კულტურული ცენტრების ფუნქციასაც ასრულებენ, რაც ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესს და სამიზნე თემის მოსახლეობის, ადგილობრივ საზოგადოებასთან კავშირების გამყარებას.

საგანმანათლებლო კლუბები ორი ძირითადი მიმართულებით იმუშავებენ:

- სამთვიანი საგანმანათლებლო კურსები, რომლებიც დაეხმარება თემის წევრებს შეიძინონ იმ ტიპის ცოდნა, რაც მოთხოვნადია დასაქმების ბაზარზე: ინგლისური ენა, საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT) და სხვა ბიზნეს უნარ-ჩვევები.

- კლუბის კულტურულ-საინფორმაციო პროგრამები, რომლის მიზანია გაზარდოს მოსახლეობის ცოდნა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე და მისცეს მათ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ ადამიანებს მათი თემების მიღმა. კულტურულ-საინფორმაციო პროგრამა სხვადასხვა ღონისძიებების სახით შეიძლება განხორციელდეს: ლექციები, საინფორმაციო შეხვედრები, ფილმების ჩვენება, ინტელექტუალური თამაშები და ა.შ.

საგანმანათლებლო კლუბებს ქალებისგან შემდგარი საკოორდინაციო ჯგუფები მართავენ. ქეა საერთაშორისო კავკასიაში პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად აღნიშნულ ჯგუფებს კონსულტაციას უწევს და ტრენინგებს უტარებს, რაც ხელს უწყობს პროექტის მონაწილე ქალების ლიდერებად ჩამოყალიბებას და მეტად თვალსაჩინოს ხდის მათ წვლილს თემის განვითარების საქმეში.

"ნდობის აღდგენა" ასევე ხელს უწყობს ინფორმაციის გავრცელებას კონფლიქტის სხვადასხვა მხარეებს შორის და საშუალებას აძლევს საკოორდინაციო ჯგუფებს, რომ ერთმანეთს გამოცდილება და იდეები გაუზიარონ. პროექტი ასევე გეგმავს საკოორდინაციო ჯგუფების ჩართვას სასწავლო ვიზიტებში, სადაც მათ საშუალება ექნებათ შეხვდნენ და შეიტყონ ერთმანეთის გამოცდილების შესახებ. ქეა საერთაშორისო კავკასიაში და მისი პარტნიორები ორგანიზაციები ასევე ხელს უწყობენ კლუბებს შორის კავშირების დამყარებას, რათა კონფლიქტის შედეგად დაშორებულ თემებს ჰქონდეთ ნაკლები ნეგატიური სტერეოტიპები და იყვნენ მეტად ტოლერანტულები ერთმანეთის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: ქალები; იძულებით გადაადგილებული პირები; სამოქალაქო საზოგადოება; ქალთა გაძლიერება; უნარების განვითარება; სომხეთი; აზერბაიჯანი.